დასაქმებულთა საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, 2016 I - II კვარტალი

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #82 / 18.10.2016

2016 წლის პირველ ნახევარში, 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით:

• დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება გაზრდილია 5.4% - ით;
• დასაქმებულთა ანაზღაურება ყველაზე მეტად გაზრდილია მშენებლობასა (12.9%) და თევზჭერაში (22.7%);
• ყველაზე მიმზიდველ საქმიანობად კვლავ საფინანსო მომსახურება რჩება, თუმცა საშუალო ხელფასთან შედარებით საკმაოდ მაღალია ხელფასები საჯარო ადმინისტრირებაში.
• მამკაცთა საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება 37.0% - ით აღემატება ქალების საშუალო ყოველთვიურ ხელფასს.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველ ნახევარში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება გაზრდილია (5.4%, 48.5 ლარი) 2015 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. 2016 წლის პირველ კვარტალში დაფიქსირდა 6.7% - იანი ზრდა, ხოლო მეორე კვარტალში ზრდის ტემპი შემცირდა და მხოლოდ 4.3% შეადგინა.

2016 წლის პირველ ნახევარში დაქირავებით დასაქამებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება გაზრდილია ყველა დარგში, გარდა ოპერაციები უძრავი ქონებით (-2.8%, -31 ლარი) და სოფლის მეურნეობისა (-26.4% - I კვ., -4.6% - II კვ.). დასაქმებულთა ანაზღაურების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მშენებლობასა (12.9%, 157 ლარი) და თევზჭერაში (22.7%, 152 ლარი).





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წლის პირველ ნახევარში არასამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ყველაზე მაღალია საფინანსო დარგში (1856.6 ლარი), შემდეგ მოდის სახელმწიფო მმართველობა (1350.8 ლარი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება (942.8 ლარი). არასამეწარმეო სფეროში ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება ფიქსირდება განათლების დარგში (505.1 ლარი).

2016 წლის პირველ ნახევარში სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება ყველაზე მაღალია მშენებლობაში (1387.0.ლარი), ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში (1204.2 ლარი) და სამთომოპოვებით მრეწველობაში (1191.5 ლარი). სამეწამრეო სფეროში ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება ფიქსირდება სოფლის მეურნეობაში (542.1 ლარი).

სოფლის მეურნეობაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება სამეწამრეო და არასამეწარმეო დანიშნულების მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდებოდა. 2012 წელს სამეწარეო სფეროში უფარო მაღალი შრომის ანაზღაურება ფიქსირდებოდა, თუმცა 2013 - 14 წლებში მდგომარეობა შეიცვალა და არასამეწარმეო დარგში ხელფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2015 წლიდან სხვაობა სოფლის მეურნეობის სამეწამრეო და არასამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიურ შრომის ანაზღაურებას შორის შემცირდა და 2016 წლის პირველ კვარტალში 53.6 ლარი, ხოლო მეორე კვარტალში 68.5 ლარი შეადგინა.

განათლებაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება სამეწამრეო სფეროში ყოველთვის უფრო მაღალი იყო არასამეწარეო სფეროსთან შედარებით. შრომის ანაზღაურებებს შორის სხვაობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2014 წელს, თუმცა შემდეგ კვლავ გაიზარდა და 2016 წლის პირველ კვარტალში სხვაობამ 74.5 ლარი, ხოლო მეორე კვარტალში 90.1 ლარი შეადგინა.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



2016 წლის პირველ ნახევარში, მამაკაცთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება აღემატება ქალთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასს. 2016 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით მამაკაცთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება არის 1140 ლარი, ხოლო ქალთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 721 ლარია.

2016 წლის პირველ კვარტალში ქალთა და მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტემპი 7% იყო. ქალთათვის ეს შედეგი 2016 წლის მეორე ნახევარშიც შენარჩუნდა (7%), ხოლო მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ზრდამ იკლო და 3% შეადგინა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2013	2014	I 2015	II 2015	III 2015	IV 2015	2015	I 2016	II 2016
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16139.9	16528.5	3325.0*	3407.6*	3545.0*	6682.3*	13959.9*	3018.8*	3642.6*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3599.6	3680.8	884.5*	913.4*	950.5*	994.7*	3743.1*	811.4*	979.1*
მშპ-ს რეალური ზრდა	3.3%	4.8%	3.2%*	2.5%*	2.5%*	2.9%*	2.8%*	2.6%*	3.0%*
ინფლაცია	-0.5%	3.1%					4.0%		
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	941.9	1 758.4	175.3*	354.7*	489.0*	267.9*	1 351.1*	388.6*	445.3
უმუშევრობის დონე	14.6%	12.4%					12%		
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4202	4200	3989	4181	4195	4315	4315	4396	4404
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%	21.4%					20.1%		

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
http://comtrade.un.org/data/
საპროგნოზო*